

(2003)

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს გადაწყვეტილება აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადის გაგრძელების თაობაზე

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო,

გამოხატავს რა უკიდურეს წუხილს კონფლიქტის მიერ წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტობის გამო, რაც ჰქმნის საფრთხის კერების წარმოქმნის რეალურ წინაპირობებს, რომელიც ემუქრება მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში,

კვლავ ადასტურებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში,

აღნიშნავს ამასთან, რომ აფხაზეთი წარმოადგენს საქართველოს განუყოფელ შემადგენელ ნაწილს,

კვლავ ხაზს უსვამს ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების აუცილებლობას ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე, უსაფრთხოების დამატებითი გარანტიების მიცემით, საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდითა და მხარდაჭერით, მმართველობის გარდამავალი შერეული ადმინისტრაციული ორგანოების შექმნის გზით და სტაბილურობის მხარდაჭერისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის აღდგენით, ადასტურებს რა აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგებისაკენ მიმართული ყველა ადრე მიღებული გადაწყვეტილების დებულებების დადასტურებას, ხოლო პირველ რიგში, აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებას, ხაზს უსვამს რა კონფლიქტის მხარეებს შორის სამხედრო დაპირისპირების განახლების დაუშვებლობის თაობაზე საერთაშორისო გარანტიების (გაერო და ეუთო) აუცილებლობას, აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელთა ამოსავალ წერტილს უნდა წარმოადგენდეს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ რეკომენდებული დოკუმენტი: @თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები@,

გადაწყვეტა:

1. გაგრძელდეს კოლექტიური სამშვიდობო ძალების აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ზონაში ყოფნის ვადა და მანდატი 2003 წლის 30 ივნისამდე ან იმ დრომდე, როდესაც კონფლიქტის ერთერთი მხარე გამოვა ოპერაციის შეწყვეტის სასარგებლოდ.

2. დადასტურდეს კოლექტიური სამშვიდობო ძალების მანდატი აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ზონაში 2003 წლის 1 იანვრიდან ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღამდე.

3. საქართველოს და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროებმა დსთ მონაწილე-სახელმწიფოთა სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბის მონაწილეობით, ერთობლივად აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დროებით ოპერატიულ სამუშაო ჯგუფთან და საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან თანამშრომლობით გააგრძელონ კოლექტიური სამშვიდობო ძალების აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ზონაში ყოფნის შესახებ 2002 წლის საკითხების შემუშავება.

ინფორმაცია დასკვნებისა და წინადადებების შესახებ წარდგენილ იქნეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს მორიგ სხდომაზე.

4. მიეწოდოს ინფორმაცია გაეროს უშიშროების საბჭოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს ამ გადაწყვეტილების შესახებ.

შესრულებულია რუსულ ენაზე იმ წესით, რომელიც დადგენილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს, მთავრობის მეთაურების საბჭოს, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეკონომიკური საბჭოს პროცედურის წესების მე-17 წესის მე-5 პუნქტით ...

ხელმოწერილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურების მიერ.

[\(გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, # 251, 20 ოქტომბერი 2003 წ.\)](#)(აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები. 2000 -2003, ნაწილი III. შემდგენლები და სარედაქციო კოლეგია: ვახტანგ ყოლბაია, თეიმურაზ ჭახრაკია, რაფიელ გელანტია, დავით ლაცუზბაია. თბ., 2004, გვ. 347-349. საკუთარი თარგმანი)

